



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თავსისხლა



თავსისხლა

თავსისხლა (*Sanguisorba*), მცენარეთა გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. აერთიანებს 17-მდე სახეობას, რეზიც გავრცელებულია უმთავრესად ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. საქართველოში, კერძოდ, აჭარაში, ქართლსა და ჯავახეთში მარტო ერთი სახეობაა – სამკურნალო თ. (შ. ოფიცინალის), იგი მრავალწლოვანი ბალახია, მაღალი ღერო და მუქი წითელი ყვავილედ აქვს (სახელიც აქედან შეერქვა). იზრდება მდელოებზე, მდელო-ველობებზე, ბუჩქნარებში, ტყისპირებზე, ჭაობებისა და მდინარეთა ნაპირების ბალახოვან დაჯგუფებებში, ფესურები და ფესვები შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთეროვან ზეთს, სახამებელს, საღებავ ნივთიერებებს. მათ ნახარშსა და ექსტრაქტს ხმარობენ შემკვრელ და სისხლდენის

შემაჩერებელ საშუალებად. იყენებენ დეკორ. მებაღეობაშიც.

მ. გურგენიძე
